დანართი №6

თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევის წესი და კვოტები

1. ფაკულტეტის საბჭოში აირჩევა ფაკულტეტზე არსებული (სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური დეპარტამენტების) აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სტუდენტები შეადგენენ საბჭოში არჩეული აკადემიური პერსონალის ¼–ს. დამრგვალება ხდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

2. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი აირჩევა ფაკულტეტზე არსებული დეპარტამენტების) პროფესორების რაოდენობის გათვალისწინებით.

3. ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი.

4. ფაკულტეტის საბჭოში ყველა დეპარტამენტს ჰყავს თითო წარმომადგენელი, ხოლო იმ დეპარტამენტებს, რომლებშიც 5 და მეტი აკადემიური პერსონალია – ორ–ორი წარმომადგენელი.

5. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ფაკულტეტზე დეკანის მიერ იქმნება საარჩევნო კომისია.

6. საარჩევნო კომისიის წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატს. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანმადებობის პირი.

7. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი დეპარტამენტების კრებაზე ღია კენჭისყრით.

8. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდურად. აკადემიურ პერსონალს შეუძლია ხმა მისცეს არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს; უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი (კანდიდატები) ხდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა.

9. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

10. ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის შესაბამისად. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში (დეკანის შემთხვევაში დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში) პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად იმართება განმეორებითი არჩევნები ამ საბჭოს წევრთა არჩევნების ზემოთ წარმოდგენილი პროცედურების დაცვით.

11. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

15. წინამდებარე წესის მიხედვით, მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება **34 წევრით.**

თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს წევრთა კვოტები

(სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური დეპარტამენტების) მიხედვით

(სასწავლო-სამეცნიერო-კლინიკური დეპარტამენტების) დასახელება		**წევრთა რაოდენობა საბჭოში**
1.	ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერატიული ქირურგიის დეპარტამენტი	**2**
2.	თერაპიის დეპარტამენტი	**2**
3.	ქირურგიის დეპარტამენტი	**2**
4.	მეანობა–გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი	**2**
5.	სტომატოლოგიისა და ყბა–სახის ქირურგიის დეპარტამენტი	**2**
6.	ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი	**2**
7.	სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტი	**1**
8.	ინფექციურ დავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი	**1**
9.	პედიატრიის დეპარტამენტი	**1**
10.	პათოლოგიის დეპარტამენტი	**2**
11.	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი	**2**
12.	უროლოგიის დეპარტამენტი	**1**
13.	ოფთალმოლოგიის დეპარტამენტი	**1**
14.	დერმატოვენეროლოგიის დეპარტამენტი	**1**
15.	გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი	**1**
16.	ფარმაკოლოგიის დეპარტამენტი	**1**
18.	დეკანი	**1**
19.	სტუდენტი	**9**
ჯამი		**34**